

შპს როდე ნილსენ-ის მუდმივი დაწესებულება საქართველოში ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სხვა მიმდინარე აქტივები	9
6. ძირითადი საშუალებები	10
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
8. საწესდებო კაპიტალი	11
9. შემოსავალი მომსახურებიდან.....	11
10. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი.....	11
11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022	31-12-2021
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	2,540,760	9,507,506
სავაჭრო მოთხოვნები		-	1,462,067
გადახდილი ავანსები		16,694	3,828,539
მარაგები		1,069	196,213
სხვა მიმდინარე აქტივები	5	477,780	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,036,303	14,994,325
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	240,256	291,252
სულ გრძელვადიანი აქტივები		240,256	291,252
სულ აქტივები		3,276,559	15,285,577
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	172,844	829,743
საგადასახადო ვალდებულებები		-	738,279
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,104	5,187
სულ ვალდებულებები		177,948	1,573,209
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	377,353	392,000
გაუნაწილებელი მოგება		2,721,258	13,320,368
სულ საკუთარი კაპიტალი		3,098,611	13,712,368
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,276,559	15,285,577

დირექტორი



ივო ვეიდერ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022	31-12-2021
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	2,540,760	9,507,506
სავაჭრო მოთხოვნები		-	1,462,067
გადახდილი ავანსები		16,694	3,828,539
მარაგები		1,069	196,213
სხვა მიმდინარე აქტივები	5	477,780	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,036,303	14,994,325
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	240,256	291,252
სულ გრძელვადიანი აქტივები		240,256	291,252
სულ აქტივები		3,276,559	15,285,577
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	172,844	829,743
საგადასახადო ვალდებულებები		-	738,279
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,104	5,187
სულ ვალდებულებები		177,948	1,573,209
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	377,353	392,000
გაუნაწილებელი მოგება		2,721,258	13,320,368
სულ საკუთარი კაპიტალი		3,098,611	13,712,368
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,276,559	15,285,577

დირექტორი -----

ივო ვეიდერ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	21-05-2021- 31-12-2021
შემოსავალი მომსახურებიდან	9	4,550,618	19,468,956
მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	10	(5,462,452)	(5,619,134)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(74,177)	(157,051)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(180,059)	(206,320)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	(42,490)	(10,242)
სხვა შემოსავლები		1,963	13,565
სხვა ხარჯები		(19,144)	(19,520)
(ზარალი)/მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(1,225,741)	13,470,254
საპროცენტო შემოსავალი		277,650	19,781
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(11,070)	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(601,724)	(169,667)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(1,560,885)	13,320,368
მოგების გადასახადი		(1,355,734)	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		(2,916,619)	13,320,368

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 21 მაისი		-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8	392,000	-	392,000
წმინდა მოგება		-	13,320,368	13,320,368
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი		392,000	13,320,368	13,712,368
საწესდებო კაპიტალის კლება	8	(14,647)	-	(14,647)
წმინდა ზარალი		-	(2,916,619)	(2,916,619)
დივიდენდის გატანა		-	(7,682,491)	(7,682,491)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი		377,353	2,721,258	3,098,611

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს როდე ნილსენ-ის მუდმივი დაწესებულება საქართველოში რეგისტრირებულია 2021 წლის 21 მაისს შემდეგ მისამართზე: ვაკე-საბურთალო / ნუცუბიდის II მკრ. IV კვ. II კორპ. საცხ. ფართი 76. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 205442467. კომპანია არის 1968 წელს დანიაში დაფუძნებული საწარმოს „Rohde Nielsen A/S“-ის მუდმივი დაწესებულება საქართველოში (შემდგომში დაწესებულება).

დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფსკერდარმავეებითი და სარეკლამაციო სამუშაოების განხორციელება. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ივო ვეიდერ 36303110292.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ დაწესებულება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. დაწესებულების მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

დაწესებულება ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

დაწესებულება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	12.5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაწესებულებაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც განკუთვნილია მომსახურების გასაწევად. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების

დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის

ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დაწესებულება ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომუნალურ, საკონსულტაციო, იჯარისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

დაწესებულებას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2022	31-12-2021
ლარში განთავსებული	629,345	9,507,506
უცხოურ ვალუტაში განთავსებული	1,911,415	-
სულ	2,540,760	9,507,506

5. სხვა მიმდინარე აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მიმდინარე აქტივების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სხვა მიმდინარე აქტივები	31-12-2022	31-12-2021
საგადასახადო აქტივი	477,720	-
სხვა	60	-
სულ	477,780	-

6. ძირითადი საშუალებები

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გასვლა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	86,381	763	11,318	75,826
ოფისის აღჭურვილობა	20,201	-	-	20,201
ავეჯი და სხვა ინვენტარი	13,722	1,801	-	15,523
სატრანსპორტო საშუალებები	181,190	-	-	181,190
სულ	301,494	2,564	11,318	292,740

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გასვლა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	2,594	6,252	248	8,598
ოფისის აღჭურვილობა	941	3,985	-	4,926
ავეჯი და სხვა ინვენტარი	893	3,276	-	4,169
სატრანსპორტო საშუალებები	5,814	28,977	-	34,791
სულ	10,242	42,490	248	52,484

21.05.2021-31.12.2021 პერიოდისთვის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 21 მაისი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	-	86,381	86,381
ოფისის აღჭურვილობა	-	20,201	20,201
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	13,722	13,722
სატრანსპორტო საშუალებები	-	181,190	181,190
სულ	-	301,494	301,494

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 21 მაისი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	-	2,594	2,594
ოფისის აღჭურვილობა	-	941	941
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	893	893
სატრანსპორტო საშუალებები	-	5,814	5,814
სულ	-	10,242	10,242

7. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-2022	31-12-2021
დაკავშირებული კომპანია	143,828	172,066
საზღვაო ხომალდის გამქირავებელი კომპანია	4,036	630,955
სხვა მომწოდებლები	24,980	26,722
სულ	172,844	829,743

8. საწესდებო კაპიტალი

დაწესებულებამ 2022 წელს საწესდებო კაპიტალიდან გაიტანა 14,647 ლარი, რის შედეგადაც 2022 წლის 31 დეკემბრით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 377,353 ლარს. ხოლო 21.05.2021-31.12.2021 პერიოდში განახორციელა საწესდებო კაპიტალში 515,677 ლარის შეტანა და საწესდებო კაპიტალიდან 123,677 ლარის გატანა, რის შედეგადაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაწესებულების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 392,000 ლარს.

9. შემოსავალი მომსახურებიდან

დაწესებულების შემოსავლის ძირითადი წყაროს შეადგენს ფოთში ჩატარებული პეის ტერმინალის ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების შედეგად მიღებული შემოსავლები. 2022 წლისა და 21.05.2021 – 31.12.2021 პერიოდისთვის დაწესებულების შემოსავლები შემდეგია:

შემოსავალი მომსახურებიდან	2022	21-05-2021 - 31-12-2021
ფოთის პროექტიდან შემოსავლები	4,538,650	19,345,279
სხვა შემოსავლები	11,968	123,677
სულ	4,550,618	19,468,956

10. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი

საკუთარი მომსახურების გაწევისას, რიგ შემთხვევებში, როდე ნილსენი სარგებლობს მესამე მხარის მომსახურებებით. კერძოდ, დაწესებულება ახდენს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. გარდა ამისა,

განხორციელებული პროექტების ფარგლებში, დაწესებულებას უწევს საწვავის და სხვა მასალების შეძენა და უტილიზაცია.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	2022	21-05-2021 - 31-12-2021
მშობელი კომპანიის მომსახურების ხარჯი	3,427,166	-
საზღვაო ხომალდის დაქირავების ხარჯი	1,552,985	3,207,362
საწვავის ხარჯი	287,348	1,297,370
სხვა მომსახურებებისა და მასალების ხარჯი	194,953	1,114,402
სულ	5,462,452	5,619,134

11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

11.1 სავაჭრო ვალდებულებები

2021-2022 წლებში დაწესებულებას დაკავშირებული კომპანიისგან მიღებული აქვს სხვადასხვა მასალები/პროდუქცია, რის ფარგლებშიც ჰქონდა სავაჭრო ვალდებულება 2022 წლის ბოლოს 143,828 ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წლის ბოლოს - 172,066 ლარი.

11.2 მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი

ფოტში პეის ტერმინალის ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების განხორციელებისას დაწესებულებას მომსახურებას უწევდა მშობელი კომპანია, რის ხარჯმაც 2022 წლისთვის შეადგინა 3,427,166 ლარი.

11.3 მენეჯმენტის კომპენსაცია

2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 120,769 ლარი, ხოლო 21.05.2021 – 31.12.2021 პერიოდისთვის - 69,288 ლარი.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.